საქართველოს მთავრობის

დადგენილება №43

2026 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021274) შეტანილ იქნეს ცვლილება და 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

1. „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$უ^1$“ ქვეპუნქტი:

„$უ^1$) ზიპლაინი;“.

2. „$წ^1$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$წ^2$“ ქვეპუნქტი:

„$წ^2$) ქარის ელექტროსადგური, რომელსაც გააჩნია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნაგებობის მახასიათებლები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**